Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

#20, ივლისი, 2022

საქართველოში რუსეთის აგრესიის (1991-1992 და 2008 წლებში) შედეგად გაჩენილი იძულებით გადაადგილებული პირების თბილისის ურბანულ სივრცეებთან ინტეგრაციის სირთულეები

ნაზი მწარიაშვილი

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: mtsariashvilinazi@gmail.com

აბსტრაქტი

2021 წლის დეკემბრის სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე 209 774 იძულებით გადაადგილებული პირი ცხოვრობს, აქედან ყველაზე მეტი, 80 732 დევნილი-თბილისშია დასახლებული (სოციალური მომსახურების სააგენტო,2021). მართალია, დევნილთა გამოწვევები საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისთვისაც არის დამახასიათებელი, თუმცა დევნილები სპეციფიკური თავისებურებებისა და გამოცდილების მქონე მოწყვლადი ჯგუფია, რომლის პრობლემათა მოგვარებას შესაბამისი პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება სჭირდება. დღეს დევნილთა ჯგუფები არ დგანან ერთი ცალკეული პრობლემის წინაშე. მათი მდგომარეობის სიმძიმე კომპლექსურია. დროთა განმავლობაში იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემები ნელი ტემპით იცვლება, მაგრამ ჯერ კიდევ მოუგვარებელი რჩება მათი იმ ძირითადი საჭიროებებით უზრუნველოფა, რომლებიც ნორმალურ საცხოვრებელ პირობებს შექმნიდა აღნიშნული სოციალური ჯგუფისთვის. მოცემული ნაშრომის ფარგლებში გამოკვლეულია ის ძირითადი საკითხები, რომელთა წინაშეც დევნილები დგანან თბილისის ურბანულ სივრცეში. ეს საკითხები ეხება დევნილობისა და დასაქმების გამოცდილებას; სოციალურ, ჯანდაცვისა და საგანმანათლებლო სერვისებისადმი წვდომას; პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობას; საცხოვრებელ პირობებს; დემოგრაფიულ მახასიათებლებს; თბილისელ მკვიდრ მოსახლეობასთან ურთიერთობას და დევნილთა ფსიქოემოციურ მდგომარეობას.

საკვლევი საკითხის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მონაცემთა მოპოვებისთვის გამოყენებულია ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუირების მეთოდი, რადგან ამ უკანასკნელის მიზანია იმ პროცესებთან მიახლოება, რომლებიც განაპირობებს ან კვლავაც განაპირობებენ გამოსაკვლევ სუბიექტთა ცხოვრებას. ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტრვიუების ანალიზი განხორციელდა 7 ეტაპად და გამოავლინა ის ძირითადი მიგნებები, რომლებიც თბილისში მცხოვრები დევნილების გამოცდილებისთვისაა დამახასიათებელი.

საკვანძო სიტყვები: რუსეთის აგრესია; დევნილი; ურბანული სივრცე; ინტეგრაცია; სოციალური საცხოვრისი; ფსიქოსოციალური ინტეგრაცია.

შესავალი

სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტების შედეგად უამრავ ადამიანს მოუხდა საკუთარი სახლის დატოვება. გამონაკლისი არც 1991-92 წლებში მომხდარი საქართველო-აფხაზეთისა და ქართულ-ოსური კონფლიქტები და 2008 წლის აგვსტოს ომი ყოფილა. 2021 წლის დეკემბრის მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე 209 774 იძულებით გადაადგილებული პირი ცხოვრობს, აქედან ყველაზე მეტი, 79 359 დევნილი-თბილისშია დასახლებული (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2022). დევნილთა ინტეგრაციის სირთულეები რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში საქართველოს

მთავრობებისთვის მუდმივ გამოწვევას წარმოადგენდა. მართალია, დღეს ეს საკითხები ნაკლებად აქტიურად ჟღერდება მედიაში, მაგრამ პრობლემატურობას მაინც არ კარგავს, რადგან ცნობილია, რომ როგორც ქალაქურ, ისე რურალურ სივრცეებში მცხოვრები დევნილები ხშირად დგანან ისეთი პრობლემების წინაშე, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანთა ბაზისური უფლებების დაკმაყოფილების სირთულეებთან. ასეთი დარღვევები გამოიხატება საცხოვრისის არქონაში ან ექსტრემალურად ანტისანიტარიულ ადგილებზე ბინადრობაში, დასაქმებისა და ფიზიკური დაცულობის პრობლემაში, ნორმალური საკვების, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების მიღების შესაძლებლობათა ნაკლებობაში და სხვა (Fielden, 2008). ერთ-ერთი მაგალითი წარსულიდან, რომელიც დევნილთა ცხოვრების აუტანელი პირობების ექსტრემალურობას მოწმობს, იძულებით გადაადგილებული პირის, ნანა ფიფიას შემთხვევა, რომელმაც 2010 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში საცხოვრებელი ფართის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის გამო თავი დაიწვა (სინერგია, 2010). მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევიდან 12 წელი გავიდა, დევნილთა ბინით და ღირსეული საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის საკითხი კვლავ აქტუალურია. თბილისში მაცხოვრები დევნილების მდგომარეობა საპირწონედ მაინც არ გამოდგება. მაგალითად, თბილისში, ბაგების ყოფილ საერთო სტუდენტურ საცხოვრებელში დღეს დევნილთა უამრავი ოჯახია განსახლებული, რომელთაგან უდიდესი ნაწილი 20-25 კვ.მ-ის ფართობის ერთ ოთახიან ბინაში ცხოვრობს, სადაც ცხოვრებისთვის შეუფერებელი პირობებია. მაგალითისთვის, ბევრ სახლში ბინის ფართობის სიმცირის გამო გაზი არა არის შეყვანილი; ბნელი კორიდორები სავსეა საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, ბინებს შორის ძალიან თხელი კედლებია, რომლებიც ხმის იზოლაციას სათანადოდ ვერ ახდენს; კორპუსებში მცხოვრები დევნილი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მძიმეა და ა.შ. 2007 წელს იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ პირველად შეიქმნა სახელმწიფო სტრატეგია (საკანონმდებლო მაცნე, 2008), რომელიც ითვალისწინებდა დევნილთა საცხოვრისის, განათლების, სოცალური და ეკონომიკური მდგომაროების გაუმჯობესებას, მაგრამ ეს პროცესი გეგმიური კომპლექსურობით არ წარმართულა და, შესაბამისად, დევნილთა პრობლემებიც არ აღმოფხვრილა (კალანდარიშვილი, 2012). მართალია, დღეს დევნილები საცხოვრისით უზრუნველყოფილნი არიან, მაგრამ მათი უმეტესობა ისეთ კომპაქტურ, ფუნქციადაკარგულ შენობებში ცხოვრობს, სადაც პირობები განსაკუთრებული სიმძიმით გამოირჩევა. ზემოაღნიშნული ეს პრობლემა ძალიან ხშირად არის გაჟღერებული პოლიტიკურ თუ სახელმწიფოს მიერ ჩამოყალიბებულ სტრატეგიებში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს დევნილთა საქალაქო სივრცეებთან ინტეგრაციის ხელისშემშლელი ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: უმუშევრობა, სოციალური დახმარების სახელმწიფო შემწეობის პაკეტის სიმწირე და ჯანდაცვის სერვისებზე ხელმიუწვდომლობა(კალანდარიშვილი,2012).მიუხედავად ფორმალურად გაწერილი სტრატეგიებისა, ჯერაც არ არსებობს ისეთი პროგრამები, რომლებიც იძულებით გადაადგილებულ პირთა კონკურენტიუნარიანობას აამაღლებდა ან შესაბამის პირობებს

შექმნიდა, მაგალითად, სამუშაო ადგილების სახით, მაშინ, როდესაც დასაქმება ხელს უწყობს კავშირების გაზრდასა და, შესაბამისად, ინტეგრაციის ხარისხის გაუმჯობესებასაც კი (Sato & Zenou, 2014). მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ დევნილების სახელმწიფო შემწეობაზე დამოკიდებულება მძიმე სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გამო რთულია. უფრო მძიმეა ის ფაქტი, რომ დღეს დევნილთა თვიური შემწეობა 45 ლარია მაშინ, როდესაც საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი, 2022 წლის დეკემბრის მონაცემებით, 226 ლარს შეადგენს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022). მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხია ჯანდაცვის სერვისებისადმი ხელმწისაწვდომობის ნაკლებობა, რომელიც არა მარტო დევნილების, არამედ, ზოგადად, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვისაც დიდ პრობლემას წარმოადგენს. დევნილთა ჯგუფებში არსებულმა მკვეთრმა სიღარიბემ, აუტანელმა საცხოვრებელმა პირობებმა, საკმარის საკვებსა და მედიკამენტებზე ხელმიუწვდომლობამ, დასახლებების ინფრასტრუქტურული და საკომუნიკაციო სივრცის მოუწესრიგებლობამ და სხვა მრავალმა პრობლემამ, რომლებიც საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა წინაშე დგას, გამოიწვია მათი ადაპტაციის დაბალი ხარისხი თბილისის ურბანულ სივრცეებთან და, შესაბამისად, ამ სივრცეებში ინტეგრაციის დაბალი მაჩვენებელიც (კალანდარიშვილი, 2012).

აღსანიშნია, რომ დევნილთა ინტეგრაციის კუთხით იკვეთება შემდეგი მნიშვნელოვანი პრობლემები: პირველი, ,,სოციალური იდენტობა'', რომელიც მათ გააჩნიათ, დაკავშირებულია გარიყულობასა და დისკრიმინირებულობასთან, ხოლო მათი ,,მორალურ-ეთიკური იდენტობა'' - ისტორიულ შეცდომასთან, რომლის დავიწყებაც შეუძლებელია. მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ დევნილები ხშირად აღიქმებიან როგორც ერთიანი მასა, რომელთა ერთადერთი სურვილი საკუთარ სახლში ყველაფრის ფასად უკან დაბრუნებაა. ამის გარდა, ,,სახლში დაბრუნების საკითხი", რომელიც ყველაზე მეტად დევნილებს ეხებათ, მანიპულირებადია პოლიტიკოსთა მიერ და გამოყენებული მათი- და არა მარტო მათი-მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ეს უაკანსკნელი დევნილებში პოლიტიკური ინტეგრაციის ხარისხს ამცირებს და განაპირობებს პოლიტიკური პროცესებისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას, რაც, არჩევნებში მონაწილეობის მიუღებლობაში გამოიხატება. (Conciliation Resources, 2009).

ლიტერატურის მიმოხილვა

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში იძულებითი მიგრაციის ტენდენცია მკვეთრად გაიზარდა და გადაადგილების მიზეზები მეტად კომპლექსური გახდა, თუმცა იძულებითი გადაადგილების ძირითად მიზეზად კვლავ საომარი მოვლენები რჩება. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია გამოყოფს იმ სტრესორ ფაქტორებსა და პრობლემებს, რომელთა წინაშეც დევნილები სხვადასხვა ეტაპზე დგანან. პირველ ფაზას წარმოადგენს პრეემიგრაციის ეტაპი, რომელიც, ძირითადად ხასიათდება დაცულობისა და საბაზისო საჭიროებების ნაკლებობით; განათლებისა და განვითარების შესაძლებლობათა ნაკლებობით; ძალადობისა და დევნის საშიშროებით და

სიღარიბით. მეორე ფაზას უშუალოდ გადაადგილების პროცესი წარმოადგენს და ამ ეტაპზე დევნილები სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობისა და ბაზისური სერვისებისადმი ხელმისაწვდომობის ნაკლებობის რისკის წინაშე დგანან, პოსტმიგრაციის ეტაპზე კი არსებობს ბარიერები ჯანდაცვისა და სხვა ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილების პროცესში; გამოწვევას წარმოადენს საცხროვრისით დაკმაყოფილების საკითხი, ოჯახის წევრებთან დაშორება, თავშესაფრის ძიებისა და მინიჭების პროცესი, ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში მიგრაციასთან დაკავშირებული პატიმრობა. საბოლო ეტაპს ინტეგრაციისა და დაფუძნების ფაზა წარმოადგენს და ძირითადი გამოწვევები ვლინდება არასათანადო საცხოვრებელი და სამუშაო პირობებით, უმუშევრობით, ასიმილაციის პრობლემებით; გენდერული, კულტურული და რელიგიური იდენტობების მიმართ არსებული გამოწვევებით, მიკუთნებულობის შეგრძნების არქონით, მკვიდრ მოსახლეობასთან არსებული დაძაბულობით, სოციალური იზოლაციით და სხვა (World Health Organization, 2020).

აღსანიშნავია, დევნილთა დასახლება ქალაქური ტიპის არეალებში საკმაოდ ხშირია. მსოფლიოში 10-დან 6 იძულებით გადაადგილებული პირი ურბანულ სივრცეში ცხოვრობს. ურბანული არეალები მუდმივი ცვალებადობით გამოირჩევიან და მსოფლიოს მრავალ წერტილში მრავალფეროვნებისა და მულტიკულტურალიზმის ცენტრებს და დევნილებისთვის ძალადობისგან, კონფლიქტისა და დევნისგან პოტენციურ თავშესაფარს წარმოადგენენ. ურბანულ სივრცეებში ცხოვრება დევნლებისთვის რიგ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს უკავშირდება. ქალაქური ცხოვრებისთვის დამახასიათებელი კომპლექსურობის გათვალისწინებით, დევნილები მოწყვლადნი არიან ომისგან გამოწვეული ტრავმისა და უფლებების (გადაადგილების თავისუფლება, შრომითი უფლებები) შეზღუდვის გამო; ამასთან, დევნილობის სტიგმა შესაძლებელია ადეკვატური საცხოვრებლისადმი ხელმისაწვდომობის არქონის განმაპირობებელი გახდეს, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა, გამოიწვიოს არაფორმალურ დასახლებებში დაფუძნება და შემდგომში ხშირი ადგილმონაცვლეობა. დევნილები, აგრეთვე, ხშირად დგებიან საიდენტიფიკაციო დოკუმენტების დაკარგვის საფრთხის წინაშე, რაც ართულებს ფორმალურად დასაქმების, კონტრაქტებზე ხელმოწერის, საბანკო ანგარიშების ხელმოწერის პროცესებს და ა.შ. ზოგადად, ქალაქებში იძულებითი მიგრირება ხასიათდება მთელი რიგი სამართლებრივი შეზღუდვებით, შევიწროვებით, დაუცველობით და მოწყვლადობით (Global Alliance for Urban Crises, 2016).

დღესდღეობით მსოფლიოში დაახლოებით 65 მილიონი იძულებით გადაადგილებული პირია და პრობლემები დევნილთა პოპულაციებში მეტ-ნაკლებად იდენტურია. როგორც ზევით აღინიშნა, ძირითადი საკითხები ეხება საბაზისო საჭირობების დაკმაყოფილებას, დასაქმების შესაძლებლობებს და სერვისებისადმი ხელმისაწვდომობას. ამასთან, ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს მიმღებ ქალაქში ინტეგრაციის საკითხი (World Economic Forum, 2016). ინტეგრაციის საკითხი განსაკუთრებით მწვავეა ისეთ შემთხვევაში, როცა იძულებით გადაადგილება ერთი ქვეყნიდან მეორეში ხორციელდება, თუმცა მკვიდრი მოსახლეობის მიერ დევნილთა მიმღებლობის ნაკლებობა მაშინაც იჩენს თავს, როდესაც გადაადგილება ერთი ქვეყნის ფარგლებში ხდება. ეს პროცესი ხელს უწყობს

დევნლთა მარგინალურ ჯგუფად ჩამოყალიბებას და აღქმას, რაც ინტერაქციისას დისკრიმინაციული დამოკიდებულებით ვლინდება ხოლმე.

ამასთან, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს დევნილთა კეთილდღეობის, ინტეგრაციის და ადაპტაციის ხელშეწყობისთვის დასახლებების არსებობა და ამ დასახლებათა იმგვარი მოდელების ჩამოყალიბება წარმოადგენს, რომლებიც დევნილთა პოპულაციაში არ წაახალისებს არაფორმალურ სამუშაო ადგილებზე დასაქმებას და სიღარიბის გადატანას ქალაქის გარეუბნებში. საცხროვრისით უზრუნველყოფა პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია იმისათვის, რომ დევნილებს ცხოვრების ახლიდან დაწყების შანსი მიეცეთ და თავი დაფუძნებულად იგრძნონ (Swing, 2017). გარდა ამისა, თავშესაფარი წარმოდგენს ვიტალურ ელემენტს ადამიანის ღირსებისა და ოჯახური და კომუნალური ცხოვრების მხარდასაჭერად მძიმე დეპრივაციის პირობებში. არსებობს დევნილებისა და ლტოლვილების დასახლების მხარდამჭერი შემდეგი ძირითადი ტიპები: ბანაკები; სოფლის თვითდასახლება; ურბანული დასახლება; კოლექტიური თავშესაფარი მიტოვებული ადგილების სახით. საკვლევი საკითხისა და ქართული კონტექსტის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, განსაკუთრებით საინტერესოა ,,მიტოვებული ადგილებისა'' და ,,ურბანული დასახლებების'' განხილვა. მაგალითად, დასახლების პირველი პატერნი მოიცავს იმგვარი ტიპის ადგილებს, როგორებიცაა საჯარო შენობები, ჰოსტელები, ბარაკები და სხვა. ამასთან, ხშირად ხდება მიტოვებული შენობების საცხოვრებლად ათვისებაც. ამგარი ადგილების საცხოვრისად გამოყენებას ძირითადად ეთნიკური კონფლიქტებისა და შიდა მიგრაციისას აქვს ადგილი. მსგავსი გამოცდილების მქონე ქვეყნების მაგალითებად შეიძლება სერბიის, საქართველოს, აზერბაიჯანის და კვიპროსის მოყვანა (Zetter, 2012). მიტოვებული და ფუნქციადაკარგული შენობების, სკოლების და ჰოსტელების საცხოვრისად ათვსიება ძირითადად დევნილობის საწყის ეტაპზე ხდება, თუმცა საქართველოში ჯერ კიდევ უამრავი იძულებით გადაადგილებული პირი სახლობს ბინებში, რომლებიც ამ ტიპის შენობებშია განთავსებული. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) კვლევის ანგარიშის თანახმად, დევნილთა ყოველი მეორე ოჯახი ჯერ კიდევ არაა უზრუნველყოფილი გრძელვადიანი საცხოვრებლით, რაც იმას ნიშნავს, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა დაახლოებით ნახევარი ,,დროებით“ საცხოვრისებში ბინადრობს (IDFI, 2022).

რაც შეეხება ქალაქური ტიპის დასახლებებს, ისინი დევნილებისა და ლტოლვილებისთვის მიმზიდველ ადგილს წარმოადგენს. დევნილები, რომლებიც იძულებით კონფლიქტებისა და ძალადობის გამო გადაადგილდნენ, ურბანულ არეალებში ეძებენ თავშესაფარს, როგორც უსაფრთხოების-საომარი მოვლენებისგან დაცვის- გარანტორს. გარდა ამისა, დევნილებისთვის ქალაქის, როგორც დასახლების ტიპის მიმზიდელობის მნიშვნელოვან მდგენელს წარმოადგენს ეკონომიკური თვითთგადარჩენის შესაძლებლობა (Zetter, 2012). ზოგადად, მიგრანტების ქალაქისკენ ლტოლვას და ურბანულ დასახლებებში ცხოვრებას მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მათი დემოგრაფიული, კულტურული, პოლიტიკური თუ ეკონომიკური მახასიათებლების ჩამოყალიბების პროცესში. ეს გასაკვირი არაა, რადგან ქალაქური სივრცეები წარმოადგენს ცენტრს, სადაც აკუმულირებულია

შესაძლებლობები ეკონომიკური კეთილდღეობისა, განათლებისა, კულტურისა, ინოვაციისა, სოციალური უზრუნველყოფისა და სხვა. თუმცა, ურბანულ სივრცეში არსებული არაფორმალური დასახლებები მოკლებულია გამართულ ინფრასტრუქურას, რაც სიცოცხლისთვის საშიშ პირობებს ქმნის, რაც, თავის მხრივ, დევნილებს კიდევ უფრო მოწყვლადს ხდის ძალადობისა და დაავადებების მიმართ (Taran, Lima, & Kadysheva, 2016).

კვლევის-,,იძულებით გადაადგილებული პირები საქართველოში: იძულებით გადაადგილებულ პირთა დამოკიდებულება კონფლიქტის, დაბრუნებისა და სამართლიანობის მიმართ"- ანგარიშში გამოკვეთილია მიგნებები, რომლებიც დევნილთა ინტეგრაციის, სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებსა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ეხება. მოცემულ ანგარიშში ვკითხულობთ, რომ იძულებით გადაადგილებული პირების უმრავლესობა ქართულ საზოგადოებაში თავს შედარებით თავსუფლად გრძნობს და თითქმის ნახევარი უარყოფს გავრცელებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ დევნილები თავიანთი სტატუსის გამო თავს შევიწროვებულად გრძნობენ, თუმცა, ანგარიშში აღნიშნულია ისიც, რომ დევნილთა ინტეგრაციის თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრია გამოსასწორებელი. ეს იმით არის განპირობებული, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს არ გააჩნიათ ერთსულოვანი დამოკიდებულება ქართველი საზოგადოების მხარდაჭერის მიმართ, ბევრი მათგანი თავს პოლიტიკურად მარგინალიზებულადაც აღიქვამს (გრონო, 2011). ამასთან, დევნილობიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგაც არსებობს პრობლემები, რომლებიც საცხოვრებელი ფართის სიმცირეს, სამუშაო ადგილების ხელმისაწვდომობისადმი უკმაყოფილებას და საკუთრების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტების არარსებობას ეხება. ამავე კვლევის შედეგების მიხედვით, დევნილთა სერვისებისადმი ხელმისაწვდომობა ეტაპობრივად უმჯობესდება, თუმცა, გამოსასწორობელი კვლავ ბევრი რამ რჩება. მაგლითად, 2010 წლის გამოკითხვის მონაცემებით, დევნილთა მხოლოდ 47%-ს მიუწვდებოდა ხელი ჯანდაცვის სერვისებზე, ხოლო დაახლოებით 64% ნაწილობრივ ან სრულად ეუფლებოდა უმაღლეს განათლებას.

გასათვალისწინებელია, რომ დევნილები ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ საქართველოში და საჭიროა განსაკუთრებული მიდგომების ჩამოყალიბება მათი პრობლემების გადასაჭრელად. სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ვალდებულებები აკისრია მათი ღირსეული და ნებაყოფლობითი განსახლებებისთვის აუცილებელი პირობების შექმნის პროცესში._მაგალითად, 1996 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი ,,იძულებით ადაადგლებულ პირთა-დევნილთა შესახებ"; 2006 წელს შექმნა სამთავრობო კომისია, რომელსაც დაევალა დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის შექმნა და მისი ორგანიზება; 2007 წელს კი დამტკიცდა იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც ორ უმთავრეს მიზანს ისახავდა: ,,პირობების შექმნას დევნილთა ღირსეულად, უსაფრთხოდ დაბრუნებისთვის და მხარდაჭერის აღმოჩენისთვის იმ დევნილებისთვის, რომლებიც სტიქიურად დაბრუნდნენ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე; დევნილი მოსახლეობისთვის ღირსეული ცხოვრების პირობების მხარდაჭერას, მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციას". აღსანიშნავია, რომ 2007 წლამდე არ არსებობდა დევნილთა პრობლემების

გადაჭრის ერთიანი ხედვა. მთავრობა, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები მიდგომათა კოორდინაციის ნაკლებობას განიცდიდნენ, რის გამოც არ ხდებოდა დევნილთა საჭირობებებისა და ინტერესების გათვალისწინება (ლომიძე, 2020). რეკომენდაციებისა და პროექტების განხორციელების შედეგად, დევნილთა მდგომარეობა დროთა განმავლობაში გაუმჯობესდა, თუმცა სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური თვალსაზრისით, გასაუმჯობესებელი კიდევ ბევრია.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია იმის დადგენა, თუ რა სირთულეებს აწყდებიან თბილისში მცხოვრები დევნილები ურბანულ სივრცეებთან ინტეგრაციისას და როგორ აღიქვამენ თავად მათი გადაჭრის გზებს. მიზნის შესაბამისად განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

- როგორ ახერხებენ დევნილები თავიანთი სამუშაო უნარებისა და შესაძლებლობების ადაპტირებას თბილისის ურბანულ სივრცეში არსებულ სამუშაო ადგილებთან; რა ხელისშემშლელი ფაქტორები არსებობს ამ პროცესში;
- აწყდებიან თუ არა იძულებით გადაადგილებული პირები თბილისელი მკვიდრი მოსახლეობისგან დისკრიმინაციულ დამოკიდებულება-განწყობილებას ისეთ სივრცეებში, როგორებიცაა: სამსახური, სკოლა, საბავშვო ბაღი და როგორ ინტეგრირდებიან სოციოემოციური თვალსაზრისით ზემოთ ჩამოთვლილ სივრცეებთან;
- როგორ ახასიათებენ იძულებით გადაადგილებული პირები თავიანთ საცხოვრებელ პირობებს; როგორია მათი კმაყოფილებისა და ადაპტაციურობის ხარისხი თბილისის კომპაქტურ საცხოვრებლებთან.

მოცემული კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ თბილისში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები. შესაბამისად, შერჩევა განხორციელდა მიზნობრივად, დევნილთა სხვადასხვა ისტორიული მოვლენის მიხედვით, რაც იმას გულისხმობს, რომ კვლევაში თანაბარი რაოდენობით ჩაერთვნენ აფხაზურ-ქართული კონფლიქტის, ქართულ-ოსური კონფლიქტისა და რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შედეგად გაჩენილი იძულებით გადაადგილებული პირები. ამასთან, კვლევაში ჩაერთნენ ისეთი სხვადასხვა თაობის წარმომადგენელები, რომელთა დევნილობის ძირითადი გამოცდილება თბილისის ურბანულ სივრცეებთან არის დაკავშირებული. ინტერვიუ ჩატარდა დევნილ ორ ქალთან და ერთ მამაკაცთან.

კვლევისთვის ჩატარდა 3 ინტერვიუ, საიდანაც ერთი ჩატარდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთან, მეორე- ქართულ-აფზახური კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთან და მესამე- ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთან.

კვლევის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მონაცემთა მოპოვების რელევანტურ მეთოდად შეირჩა ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუ. ეს უკანასკნელი ბოგრაფიულ-ნარატიულ ფორმას იღებს მაშინ, როდესაც მონაწილე იმ პერსონალურ ისტორიებს უამბობს მკვლევარს, რომლებმაც მისი გამოცდილებისა და ბიოგრაფიის ფორმირებაზე დიდი გავლენა მოახდინა (წულაძე, 2020). რაც შეეხება ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტრვიუების ანალიზს, ის გაბრიელ კაპაის მიერ ჩამოყალიბებული ანალიზის 7 ეტაპიანი მოდელით განხორციელდა (კაპაი, 2000) და ამ საფეხურების თანმიმევრობის დაცვით გაანალიზდა იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტეგრაციის სირთულეები თბილისის ურბანულ სივრცეებთან.

კვლევის შედეგები

დასაქმების გამოცდილება

დევნილობის საწყისი პერიოდი გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ინდივიდებისთვის ძირითადად, კრიზისულია, რაც აიხსნება საცხოვრებლის, შემოსავლის დანაკარგით, ახალ გარემოსთან/საცხოვრებელთან ადაპტაციის სირთულით და ა.შ. ერთ-ერთი კვლევის თანახმად, 2008 წლის ომის შემდეგ პირველი კრიზისულ პერიოდში დევნილებს დაკარგული ჰქონდათ შემოსავლის წყარო, რომლითაც საკუთარი და მათი ოჯახის ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ახერხებდნენ. სტატისტიკის თანახმად, დევნილთა 60,5%-ის საარსებო წყარო ჰუმანიტარული დახმარება იყო და მხოლოდ 8,4%-ს გააჩნდა მის მიერ გამომუშავებული თანხა (მაცაბერიძე & მჭედლიშვილი, 2018). ამ თვალსაზრისით ჩემი კვლევის- -შედეგები განსხვავებულია, რაც იმაში გამოიხატა, რომ გამოკითხული რესპონდენტები თბილისში ჩამოსვლისთანავე ან ჩამოსვლიდან მალევე დასაქმდნენ და, შესაბამისად, გაიჩინეს კიდეც შემოსავლის წყარო.

,,2008 წლის მერე მე მაგისტრატურაში გავაგრძელე სწავლა. მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ ძალიან მალევე დავიწყე სამსახური. 2011 წლის გაზაფხულზე ვამთავრებ მაგისტრატურას და მერე უკვე შემოდგომით ვიწყებ მუშაობას და იმის მერე ვარ სკოლაში.“ ***(ქალი, 34 წლის, იძულებით გადაადგილებული პირი ცხინვალის რეგიონიდან, დევნილის სტატუსი მიენიჭა 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად; თბილისში მუდმივად მცხოვრები 2008 წლიდან)***

დევნილთა გამოცდილება ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალური პაკეტების გამოყენებისას

დევნილთა მდგომარეობა ჯანდაცვისა და განათლების სერვისების გამოყენების თვალსაზრისით, ყოველთვის პრობლემატურად ხასიათდებოდა და ამას თავად დევნილებიც აცნობიერებდნენ. სწორედ ამის გამო მიიღეს იძულებით გადაადგილებულმა პირებმა მონაწილება 2007 წლის დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებაში, სადაც განისაზღვრა გარკვეული რეკომენდაციები, რის

საფუძველზეც მათი მდგომარეობა უნდა გაუმჯობესებულიყო. ზოგიერთი რეკომენდაცია განისაზღვრა ასე :

1) *აუცილებელია გადაიხედოს უმწეოთა მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, მათ შორის, დევნილების სოციალური დახმარების სახელმწიფო შემწეობის პაკეტი, რომელიც არ უნდა იყოს საარსებო მინიმუმზე ნაკლები (კალანდარიშვილი, 2012)*
2) *ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, როგორც დანარჩენი საზოგადობისათვის, დევნილებისთვისაც მნიშვნელოვანი პრობლემაა. სადაზღვევო პოლისი ვერ უზრუნველყოფს აუცილებელ სამედიცინო მომსახურებას. აუცილებელია ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველასყოფად სპეციალური, რეალურ საჭიროებებზე მიმართული, სახელმწიფო პროგრამების ამოქმედება (კალანდარიშვილი, 2012)*
3) *სახელმწიფოსათვის პრიორეტეტული უნდა გახდეს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის, მათ შორის დევნილებისთვის, უფასო უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, და სხვადასხვა საგანმანათლებლო, მათ შორის საზღვარგარეთის სასწავლო პროგრამებში დევნილი ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობის კრიტერიუმების გამოკვეთა (კალანდარიშვილი, 2012)*

თუ ჩვენ მოცემულ მოთხოვნებს შევადარებთ კვლევის შედეგებთან, დავინახავთ შემდეგ მდგომარეობას:

შემწეობის პაკეტი არ შეცვლილა. ეს უკანაკნელი დევნილების მიერ ისევ მიზერულ და სიმბოლურ თანხად მიიჩნევა.

*,,ძალიან, ძალიან მიზერული თანხაა, სხვათაშორის. ჩემზე არ ვგულსხმობ. მე ასე თუ ისე სამსახური მაქვს და ხელფასი მაქვს, ბევრისთვის ეგ თანხა არის ერთადერთი შემოსავლის წყარო. არის ოჯახები, იმ 45 ლარზე არიან მარტო.'' **(კაცი, 45 წლის, 1991 წლიდან ცხინვალის რეგიონიდან დევნილი, თბილისში მუდმივად მცხოვრები 2008 წლიდან. ორჯერ დევნილი)***

არ არსებობს უშუალოდ დევნილთა, როგორც მოწყვლადი ჯგუფისთვის არსებული ჯანდაცვის შეღავათიანი და ეფექტური პაკეტი. დევნილები ძირითადად იყენებენ ან სოციალურად დაუცველისთვის ან ვეტერანებისთვის განკუთვნილ შეღავათებს გამოკვლევებისა და სხვა სამედიცინო მომსახურებებისთვის. ზოგიერთი დევნილი ასევე იყენებს საყოველთაო დაზღვევის პაკეტს, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ყველა დევნილი არ ფლობს რომელიმე სტატუსს მაინც. შესაბამისად, ისინი იძულებულნი არიან, საკუთარი სახსრებით დაფარონ სამედიცინო ხარჯები.

*,,ექიმთან კონსულტაცია როგორც არის, ისეა დევნილებზე, არაფერი განსხვავებული. სოციალური გავაკეთე ერთხელ, მერე იქიდანაც შემოწმებაზე რომ მოვიდნენ, აღარ ჩამთვალეს თუ რა იყო, იქიდანაც წამშალეს, თორე მაშინ კარგი იყო, მაგით, ჯანდაცვის მხრივ, რაღაცებს ვსარგებლობდი.'' **(ქალი, 46 წლის, იძულებით გადაადგილებული პირი აფხაზეთიდან; დევნილის სტატუსი მიენიჭა 1991-***

92 წლების აფხაზეთი-საქართველოს კონფლიქტის შედეგად; თბილისში მუდმივად მცხოვრები 2008 წლიდან; ორჯერ დევნილი)

რაც შეეხება დევნილების უფასო უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ამ მხრივ, უკეთესი მდგომარეობაა და კვლევაში მონაწილე რესპონდენტები სახელმწიფოსგან ამ ხელშეწყობის არსებობას გამოკვეთენ.

*,,ჩვენი მხარე 2004-დან კონფლიქტურ ზონად ასოცირდებოდა. გარკვეული შეღავათებით იქ მაცხოვრებელი ადამიანები სარგებლობდნენ და სახელმწიფოს მხრიდან ეტაპობრივად ყოველთვის ხდებოდა ხოლმე სწავლასთან დაკავშირებით ხელის შეწყობა, დაფინანსება და ეს გამოვიყენე.“ (**ქალი, 34 წლის, იძულებით გადაადგილებული პირი ცხინვალის რეგიონიდან, დევნილის სტატუსი მიენიჭა 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად; თბილისში მუდმივად მცხოვრები 2008 წლიდან)***

დევნილების მიერ საცხოვრებლის შეფასება

ნაშრომში- ,,ურბანული დიზაინის მანიფესტაციისკენ-“ ჯეიკობსი და ეპლაიარდი გვთავაზობენ მახასიათებლებს, რომლის ქონაც ქალაქებს საცხოვრებლად უკეთეს ურბანულ სივრცეებად აყალიბებს. ერთ-ერთი ასეთი მიზანი იმას ეხება, რომ ქალაქი ყველა მაცხოვრებლისთვის მეტ-ნაკლებად კომფორტული მაინც უნდა იყოს (კაჭკაჭიშვილი, 2014). იმისათვის, რომ ქალაქში ცხოვრება კომფორტული იყოს, პირველ რიგში, საჭიროა ინდივიდების ნორმალური საცხოვრისით უზრუნველყოფა. როგორც IDFI-ის კვლევის ანგარიშიდან იკვეთება, ჯერ კიდევ დევნილების ოჯახების 50% (45 903) არაა უზრუნველყოფილი გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით (IDFI, 2022), რაც იმას ნიშნავს, რომ დევნილების ნახევარი ჯერ კიდევ დროებით საცხოვრებელში ცხოვრობს, რომელიც კვლევების თანახმად, არასდროს გამოირჩეოდა და არც ახლა გამოირჩევა ნორმალური საცხოვრებელი პირობებით.

საცხოვრებლის თვალსაზრისით, რესპონდენტების შეფასებები შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად. ერთ შემთხვევაში, რესპონდენტები თავინათ თავდაპირველ საცხოვრებელს, რომელშიც ოკუპირებული ტერიტორიების დატოვების პირველ ეტაპზე შესახლდნენ, აფასებენ, როგორც ცხოვრებისთვის შეუფერებელი პირობების მქონეს, რაშიც ფართის სიმცირე, გათბობის, წყლის, გაზის სისტემების, ჰიგიენის და სხვა ბაზისური საჭიროებების არარსებობა იგულისხმება. თავდაპირველი საცხოვრებლის არადამაკმაყოფილებლად შეფასებისას რესპონდენტების მოსაზრებები ჰომოგენური აღმოჩნდა. რაც შეეხება მონაწილეთა ამჟამინდელ საცხოვრებლებს, ორი რესპონდენტი მათ აფასებს, როგორც კარგს და ცხოვრებისთვის შესაფერისს, ხოლო ერთ-ერთი მონაწილე, რომელიც უკვე თითქმის 30 წელია, იმავე ბინაში ცხოვრობს, უკმაყოფილოა საცხოვრებლის მდგომარეობით, მიუხედავად ამ უკანასკნელის წლების განმავლობაში უკეთესობისკენ ოდნავ ცვლილებისა, რადგან არ შეცვლილა ბინის ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა: საცხოვრებელი ფართი, სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, მოუწესრიგებელი კორპუსი და სხვა.

*,,18 კვადრატში ვცხოვრობთ სამი ადამიანი. იყვნენ მოსულები აქ ჰოლანდიელები და გვკითხეს, როგორ ცხოვრობთ, როგორ ხართო. კორიდორებს შეხედეს, არაფერი არ არისო, თარჯიმანი ახლდათ, იმით ვეკონტაქტებოდით და ძალიან არ მოეწონათ, [მდგომარეობა] არ ველოდებოდით, რომ დევნილები კიდევ ასეთ ყოფაში ცხოვრობდნენო, მაგრამ მაინც არაფერი არ შეცვლილა'' **(ქალი, 46 წლის, იძულებით გადაადგილებული პირი აფხაზეთიდან; დევნილის სტატუსი მიენიჭა 1991-92 წლების აფხაზეთი-საქართველოს კონფლიქტის შედეგად; თბილისში მუდმივად მცხოვრები 2008 წლიდან; ორჯერ დევნილი)***

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტებისთვის ნორმალური საცხოვრისის არქონა უკაშირდება მათი დაოჯახებისა და ოჯახის გაფართოების პრობლემებსაც.

ამასთან, საცხოვრებელი პირობებისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულებების მიუხედავად, რესპონდენტები ერთსულოვნად აცხადებენ, რომ მათ საცხოვრისსა და თბილისს მუდმივ საცხოვრებლად მიიჩნევენ და აფხაზეთში თუ ცხინვალში დაბრუნების სურვილის მიუხედავად, მისი დატოვება არ სურთ და არც აპირებენ.

*,,წარმოიდგინეთ თქვენ, ესეთი გაჭირვება მაქვს აქ ნანახი, უწყლობა, უშუქობა, უდენობა შიმშილი, პურის რიგში [დგომა]....ისე მივეჩვიე აქაურობას, რომ ამის იქით წასვლა არ შემიძლია [...]აბსოლუტურად ძალიან ცუდი პირობებია, მაგრამ სადაცა ხარ, ალბათ, იმ ადგილს ეჩვევი, გიყვარდება და მიდის ცხოვრება ნელა.'' **(ქალი, 46 წლის, იძულებით გადაადგილებული პირი აფხაზეთიდან; დევნილის სტატუსი მიენიჭა 1991-92 წლების აფხაზეთი-საქართველოს კონფლიქტის შედეგად; თბილისში მუდმივად მცხოვრები 2008 წლიდან; ორჯერ დევნილი)***

დევნილთა პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობა

როგორც ერთ-ერთი კვლევიდან გამოიკვეთა, ,,სახლში დაბრუნების საკითხი", რომელიც ყველაზე მეტად დევნილებს ეხებათ, პოლიტიკოსთა მიერ მანიპულირებადია, რაც, თავის მხრივ, დევნილებს პოლიტიკური პროცესების მიმართ ნიჰილისტურად განაწყობს. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი გამოწვეულია იმითაც, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს თავდაპირველად არჩვნებში მონაწილეობის მიღების უფლება არ ჰქონდათ (Conciliation Resources, 2009). ერთ-ერთი ფაქტორი, რითაც დევნილთა ნიჰილისტური დამოკიდებულება აიხსნება, საზოგადოებაში ალტერნატიული ძალაუფლების გაუქმებასთანაა დაკავშირებული. ეს უკანაკნელი ჯერ კიდევ 2006 წლიდან გამოიხატა ხელსუფლების მიერ იმ სახელმწიფო სტრუქტურების გაუქმებით, რომლებიც ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა საკითხებით იყვნენ დაკავებულნი და აგრეთვე იმ ალტერნატიული ორგანიზაციების არარსებობით, რომლებიც დევნილთა პოლიტიკურ გააქტიურებას შეუწყობდა ხელს (Conciliation Resources, 2009).

შეიძლება ითქვას, რომ კვლევის - ,,საქართველოში რუსეთის აგრესიის (1991-1992 და 2008 წლებში) შედეგად გაჩენილი იძულებით გადაადგილებული პირების თბილისის ურბანულ სივრცეებთან ინტეგრაციის სირთულეები''- შედეგები იმ თვალსაზრისით აჩვენებს ზემოაღნიშნული კვლევისგან

განსხვავებას, რომ გამოკითხული რესპონდენტები არჩევნებში მუდმივად იღებენ მონაწილეობას, მაგრამ ისინი პასიურები არიან ისეთი პოლიტიკური პროცესების მიმართ, როგორებიცაა აქცია-დემონსტაციები და სხვა.

მკვიდრ მოსახლეობასათან ურთიერთობა

როგორც 2018 წელს ჩატარებული ერთ-ერთი კვლევა აჩვენებს, დევნილების სოციალური ურთიერთობები მეზობლებთან უმრავლეს შემთხვევაში პოზიტიურია, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ დევნილთა მეზობლები ისევ დევნილები არიან. იძულებით გადაადგილებულ პირთა ურთიერთობები მკვიდრ მოსახლეობასთან შედარებით განსხვავებულია. ს.ჯ რაჯპუტის აზრით, ეს შეიძლება იყოს განპირობებული იმ განსხვავებულობით, რაც დევნილებს მიმღებ საზოგადოებაში შეაქვთ. ამასთან, დევნილები მკვიდრი მოსახლეობის მერ, შესაძლებელია, აღქმული იყვნენ, როგორც ისედაც შეზღუდული რესურსების მომხმარებლებლები. აგრეთვე, მკვიდრ მოსახლეობასთან არამეგობრული ურთიერთობების ქონა იმითაც აიხსნება, რომ დევნილები კომპაქტურ ჩასახლებებში იზოლირებულად, დისტანციურად ცხოვრობენ, მათი სამეგობრო, სანათესაო და სამეზობლო წრეები იძულებით გადაადგილებულ პირთაგან შედგება. შესაბამისად, ისინი ნაკლებად ურთიერთობენ კიდეც მკვიდრ მოსახლეობასთან, რამაც, შესაძლოა, ბიძგი მისცეს არამეგობრული კომუნიკაციის ჩამოყალიბებას დევნილებსა და მკვიდრ მოსახლეობას შორის (მაცაბერიძე & მჭედლიშვილი, 2018).

ამ თვალსაზირით, საინტერესოა კვლევის ,,საქართველოში რუსეთის აგრესიის (1991-1992 და 2008 წლებში) შედეგად გაჩენილი იძულებით გადაადგილებული პირების თბილისის ურბანულ სივრცეებთან ინტეგრაციის სირთულეები''- შედეგები. როგორც გამოიკვეთა, რესპონდენტებს თბილისის მკვიდრი მოსახლეობისგან ძირითადად პოზიტიური, არადისკრიმინაციული დამოკიდებულების გამომჟღავნება გამოუცდიათ, თუ გამონაკლისებს არ გავითვალისწინებთ. ერთ-ერთი რესპონდენტი აღიარებს, რომ დისკრიმინაციის მსხვერპლი გამხდარა და სხვა რესპონდენტები დევნილთა მიმართ შესაძლო დისკრიმინაციული დამოკიდებულების გამოვლენის ალბათობას უშვებენ, მაგრამ ძირითადად, მიიჩნევენ, რომ თბილისელი მკვიდრი მოსახლეობა მათ მიმართ დისკრიმინაციული და მამარგინალიზებელი დამოკიდებულებით არ გამოირჩევა.

,,სითბოს გარდა და მხარდაჭერის გარდა, მე არ გამიგია ამ თბილისელებისგან არაფერი [...] ძირითადად, 99% მოსახლეობის თბილისის და საერთო საქართველოსი ძალიან პოზიტიურად იყო განწყობილი და დახმარების ხელი ჰქონდათ [გამოწვდილი], რაც შეეძლოთ, ყველნაირად გაჭირვებული ხალხის მიმართ.'' ***(კაცი, 45 წლის, 1991 წლიდან ცხინვალის რეგიონიდან დევნილი, თბილისში მუდმივად მცხოვრები 2008 წლიდან. ორჯერ დევნილი)***

დევნილთა ფსიქოემოციური მდგომარეობა

დევნილობის სწყისი ეტაპი უმეტესად ხასიათდება ფსიქოემოციური კრიზისებით. ამ თვალსაზრისით, არც ქართველი დევნილები ყოფილან გამონაკლისი. აღსანიშნავია, რომ საქართველოში არსებობდა კიდეც ფსიქოემოციური მდგომარეობის გაუმჯობესების სერვისები, რომლებსაც სოციალური მუშაკები

აწვდიდნენ ხოლმე დევნილებს, თუმცა, სერვისების გადანაწილება თანაბარი არ ყოფილა და არსებობდნენ ისეთი დევნილები, რომელთაც სრულებითაც არ სმენოდათ ამგვარი სერვისების შესახებ.

კვლევიდან გამოიკვეთა, რომ რესპონდენტებს ან მათი ოჯახი წევრებს დევნილობის საწყის და ზოგიერთს შემდგომ პერიოდებში ჰქონია სტრესი, შფოთვა, დეპრესია. ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი მენტალური ჯანმრთელობის პრობლემებისგან გამოწვეულ მეტყველების დაკარგვასაც ჰქონია, რაც ზოგიერთი დევნილის შემთხვევაში ფატალურადაც დასრულებულა.

*,, მშობლები დამეღუპნენ ორი წლის წინ, ნუ ასაკით, ნერვიულობით კიდე, სტრესით და რაღაცა. იცით, რა არის, ეს ბევრი ხალხი, ვინც ომს გამოასწრო იქიდან, ვისაც ძლიერი ორგანიზმი ჰქონდა, მაგარი... იმდენად განიცადეს, ეს დაკარგული მიწა-წყალი და თავიანთი კერა და რაღაცა, რო აი, დაავადებამ, სტრესმა და ნერვიულობამ მოუსწრაფა სიცოცხლე. რაც ომს გადაურჩნენ იქ, აქ მაგითი დაიხოცნენ.'' (**კაცი, 45 წლის, 1991 წლიდან ცხინვალის რეგიონიდან დევნილი, თბილისში მუდმივად მცხოვრები 2008 წლიდან)***

დასკვნა

ურბანულ სივრცესა და ადამიანებს შორის ორმხრივი დამოკიდებულება არსებობს. გარემო ძალიან დიდი გავლენას ახდენს ინდივიდების ცხოვრების ასპექტებზე და თავადაც დიდ გავლენას განიცდის ადამიანების ზემოქმედების შედეგად (კაჭკაჭიშვილი, 2014). მაგალითად, მაქს ვებერი ქალაქის ნიშნების გამოყოფისას, ერთ-ერთ ნიშნად ასახელებს მოქალაქეთა ავტონომიურობის შესაძლებლობას, თავად აირჩიონ ქალაქის მმართველები. მართალია, დევნილობის საწყის ეტაპზე იძულებით გადაადგილებული პირების საარჩევნო უფლება დარღვეული იყო (Conciliation Resources, 2009), თუმცა დღეს ყველა მათგანს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ დევნილები მუდმივად იღებენ მონაწილეობას არჩევნებში, თუმცა ისინი დაინტერესებულნი არ არიან ისეთ პროცესებში მონაწილეობით, როგორებიც აქცია-დემონსტრაციებია. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ მათგანს ამგვარი პროცესების მიმართ არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულა აქვთ კიდეც.

ამასთან, როგორც აღმოჩნდა, დღეს თბილისის მკვიდრი მოსახლეობა დევნილებთან კარგ, მეზობლურ, მეგობრულ და ემპათიურ დამოკიდებულებას აყალიბებს და მსგავსი კომუნიკაციით გამოირჩევიან დევნილებიც მკვიდრი მოსახლეობის მიმართ, თუმცაღა, აღსანიშნავია, რომ წარსულში, იშვიათ შემთხვევებში, ადგილი ჰქონია თბილისელების მხრიდან დისკრიმინაციული დამოკიდებულების გამომჟღავნებას იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ.

აგრეთვე, გამოიკვეთა, რომ დევნილები, მიუხედავად, არსებული რთული და ტრავმული გამოცდილებისა, თბილისთან ინტეგრირებულნი არიან, მას საკუთარ საცხოვრებელ ქალაქად

მიიჩნევენ და მომავალში, ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაბრუნების შემთხვევაში, არ აპირებენ თბილისთან კავშირის დაკარგვას და მის მუდმივად დატოვებას.

გამოიკვეთა კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იმასთან დაკავშირებით, რომ დღეს დევნილთა მდგომარეობა საცხოვრებლის მიმართ არაერთგვაროვანია, რადგან ზოგიერთი მათგანი ყველა არსებითი და საჭირო პირობით აღჭურვილ ბინაში ცხოვრობს, ზოგიც კი რამდენიმე ათეულია წელია, იმავე კომპაქტურ ჩასახლებაშია, რომელიც შეუფერებელი საცხოვრებელი პირობებით გამოირჩევა.

დევნილების, როგორც ერთ-ერთი მოწყვალდი ჯგუფისთვის დამახასიათებელ პრობლემას მენტალური ჯანმრთელობა წარმოადგენს. დევნილობა ნებისმიერი პირისთვის, განსაკუთრებით კი, ბავშვებისთვის, შესაძლოა დაკავშირებული იყოს ფიზიკურ და მენტალურ ზიანთან, რომელიც შესაძლოა გამოვლინდეს როგორც დევნილობის საწყის ეტაპზე, ასევე ხანგრძლივი დროის შემდეგაც. დევნილებმა საომარი მოვლენების შედეგად, შესაძლებელია, რომ გამოსცადონ ძალადობა, თავშესაფრის, საკვებისა და წყლის ნაკლებობა, ფიზიკური დაზიანებები, ინფექციები, დაავადებები, სამედიცინო მომსახურებების ნაკლებობა, დანაკარგი საყვარელი ადამიანების სახით, სიღარიბე, ოჯახის დანაწევრება, სტრესი, დეპრესია და სხვა (NCTSN, 2018). ამგვარი გამოცდილების ქონა არც ქართველი რესპონდენტებისთისაა უცხო, რადგან, როგორც კვლევის შედეგად დადგინდა, იძულებით გადაადგილებულ პირებს და მათი ოჯახის წევრებს დევნილობის საწყის და შემდგომ პერიოდებში ჰქონიათ სტრესი, შფოთვა, დეპრესია, რაც ზოგიერთ შემთხვევაში ფატალურადაც დასრულებულა.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება, ითქვას, რომ თბილისში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირების გამოცდილება, ინტეგრაციის თვალსაზრისით, არ უნდა შეფასდეს ჰომოგენურად, რადგან ზოგიერთ ასპექტში, დევნილთა გამოცდილება საკმაოდ მსგავსია-პოზიტიური თუ ნეგატიური თვალსაზრისით (დასაქმება, ფსიქოემოციური მდგომარეობა, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა და ა.შ)- ზოგიერთ შემთხვევაში კი-ჰეტეროგენული (საცხოვრისი, სოციალური, სამედიცინო, საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება).

გამოყენებული ლიტერატურა

Conciliation Resources. (2009). *გარიყულობიდან ჩართულობისაკენ: დევნილთა მონაწილეობის უზრუნველყოფა; საქართველოს გაკვეთილები.* თბილისი: Conciliation Resources.

Conciliation Resources. (n.d.). იძულებით გადაადგილებული პირები საქართველოში.

Fielden, A. (2008). *Ignored Displaced Persons: the plight of IDPs in urban areas.* Geneva: United Nations High Commissioner for Refugees.

Global Alliance for Urban Crises. (2016). *Forced Displacement In Urban Areas: What Needs To Be Done.* London: https://www.urbancrises.org.

IDFI. (2022). *მუდმივი საცხოვრებლის მოლოდინში მყოფი დევნილი ოჯახები: 2017-2021 წლის სახელმწიფო პოლიტიკა.* თბილისი: IDFI (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი).

NCTSN. (2018). *About Refugees: What Have Refugee Families Experienced*. Retrieved from The National Child Traumatic Stress Network: https://www.nctsn.org/what-is-child-trauma/trauma-types/refugee-trauma/about-refugees

Sato, Y., & Zenou, Y. (2014). *How Urbanization Affects Employment and Social Interactions.* Bonn.

Stanley, M. (n.d.). Urban Area. *National Geographic*.

Swing, W. L. (2017, February). Resettlement: Practical Considerations For Effective Resettlement. *Forced Migration Review*, pp. 4-6.

Taran, P., Lima, G. N., & Kadysheva, O. (2016). *Cities Welcoming Refugees and Migrants.* Paris: United Nations Education,Scientific and Cultural Organization.

World Economic Forum. (2016, November 12). The biggest issues facing migrants today - and what we can do to solve them. Cologny, Switzerland.

World Health Organization. (2020). *World Migration Report 2020.* Geneva: World Health Organization.

Zetter, R. (2012). Shelter and Settlement for Forcibly Displaced People. In S. J. Smith, *International Encyclopedia of Housing and Home* (pp. 330-335). Oxford: ScienceDirect.

გრონო, მ. ფ. (2011). *იძულებით გადაადგილებული პირები: იძულებით გადაადგილებულ პირთა დამოკიდებულება კონფლიქტის, დაბრუნებისა და სამართლიანობის მიმართ.* თბილისი: conciliation resources.

კალანდარიშვილი, ნ. (2012). *როგორ ხედავენ იძულებით გადაადგილებული პირები მათი პრობლემების მოგვარების გზებს?* თბილისი: heinrich böll stiftung south caucasus.

კალანდარიშვილი, ნ. (2012, სექტემბერი). როგორ ხედავენ იძულებით გადაადგილებული პირები მათი პრობლემების მოგვარების გზებს? თბილისი, საქართველო: HEINRICH-BÖLL-STIFTUNG.

კაპაი, გ. (2000). *ადგილობრივი რეალობა და გლობალური პროცესები: ემიგრაცია, ჯგუფების წარმოქმნა და თვითშეგნება მულტიკულტურულ საზოგადოებებში.*

ლომიძე, ლ. (2020). *საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა იძულებით გადაადგილებულ პირებთან-დევნილებთან დაკავშირებულ საქმეებზე(2014-2020 წლები).* თბილისი: საქართველოს უზენაესი სასამართლო.

მაცაბერიძე, ს., & მჭედლიშვილი, ნ. (2018). *2008 წლის ომის შედეგად კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური საჭიროებების და სოციალური მუშაკის როლის კვლევა 2008 წლის ომიდან დღემდე.* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლემწიფო უნივერსიტეტი.

საკანონმდებლო მაცნე. (2008, დეკემბერი 4). „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 2 თებერვლის №47 განკარგულებაში დამატებების შეტანის თაობაზე. თბილისი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2022, ივნისი). საარსებო მინიმუმი, საქართველო. თბილისი, საქართველო.

საქსტატი. (2014-2021).

სინერგია. (2010). სოხუმიდან დევნილი ნანა ფიფია: მსხვერპლი, რომლის ხმასაც ვეღარ ჩაახშობ. *სინერგია*, 1-2.

სოციალური მომსახურების სააგენტო. (2022). დევნილი და ლტოლვილი მოსახლეობის რაოდენობა. თბილისი, საქართველო.

წულაძე, ლ. (2020). *სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები.* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.